საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სიმონ ჩხაიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: ბოთხი ბზოლავა

თარიღი: 29.04.2024 ნ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„29“ აპრილი, 2024 წ. ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **სიმონ ჩხაიძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა, წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევად.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულების შესაბამისად, წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის ღების მიზნით დარეგისტრირებული იქნა **სიმონ ჩხაიძე**- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 2 აპრილს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის-**სიმონ ჩხაიძის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, **სიმონ ჩხაიძის** (როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი), შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 35^1 მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის - **სიმონ ჩხაიძის** კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ იგი გამოირჩევა კორექტულობით, თავდაჭერილობით, შეუვალობით, პრინციპულობით, მოსამართლის მაღალი ნოდებისთვის შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. ამასთან, კანდიდატს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურეობრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა დავალიანების გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. რეკომენდატორები და კანდიდატთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები სიმონ ჩხაიძის პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას აფასებენ დადებითად. აგრეთვე, მის მიმართ არ ყოფილა დაწყებული დიციპლინური დევნა.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად ასევე არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

<u>დასკვნა:</u> ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი-**<u>სიმონ ჩხაიძე</u>** **<u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

სიმონ ჩხაიძე როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს როგორც სამოქალაქო სამართლის, ასევე, საერთაშორისო სამართლის სფეროს, საპროცესო კანონმდენლობას, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია).

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **სიმონ ჩხაიძე** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

სიმონ ჩხაიძეს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 18 წლის გამოცდილება. ამასთან, კანდიდატი - **სიმონ ჩხაიძე** გამოირჩევა კარგი ანალიტიკური აზროვნებითა და აზრის დამაჯერებლად და

კვალიფიციურად გადმოცემის უნარით.

მოსამართლედ მუშაობის ხანგრძლივი დროის განმავლობაში კანდიდატს შეძენილი აქვს დიდი პრაქტიკული გამოცდილება და მოსამართლისთვის აუცილებელი ქცევის უნარები. მას შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის ყველა სფეროს ირგვლივ.

საჯარო მოსმენისას კანდიდატმა მეტწილად უშეცდომოდ და სწორად უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **სიმონ ჩხაიძე** უნდა შეფასდეს 17 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.3. წერის უნარი</u>

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის და ასევე **სიმონ ჩხაიძის** მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, ნათლად იკვეთება, რომ მას გააჩნია წერის კარგი უნარები. რაც გამოიხატება იმაში, რომ მის მიერ შედგენილ წერილობით დოკუმენტებში ნათლად და ადვილად იკითხება დოკუმენტის ძირითადი შინაარსი, ნაკლებად ხმარობს რთულ წინადადებებს, ზედმიწევნით სწორად და საგნობრივად იყენებს სამართლებრივ ნორმებს და სამართლებრივი ნორმების ანალიზს, რაც ამ დოკუმენტების მკითხველს საშუალებას აძლევს სწორად და მარტივად აღითქვას მათში განხილული სამართლებრივი საკითხები და ხელს უწყობს მისი მსჯელობის თანმიმდევრულად, ნათლად გადმოცემას და გაგებას. აღსანიშნავია, რომ შესწავლილ დოკუმენტებში რაიმე მნიშვნელოვანი ან თვალსაჩინო გრამატიკული შეცდომა, რაც გავლენას იქონიებდა დოკუმენტის შინაარსზე, ან სწორად გაგებაზე, გამოვლენილი არ ყოფილა.

<u>დასკვნა:</u> წერის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **სიმონ ჩხაიძე** უნდა შეფასდეს 17 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

ზეპირი კომუნიკაციის უნარების შეფასებისას აღსანიშნავია, რომ **სიმონ ჩხაიძეს** აქვს კარგი, გასაგები და გამართული მეტყველების უნარი. უნდა აღინიშნოს, რომ იგი საჯარო მოსმენაზე იყო მობილიზებული, მშვიდი, ნათლად და გასაგებად გამოსცემდა საკუთარ აზრებს და შეხედულებებს. გასაუბრებისას ნათლად გამოჩნდა, რომ გარდა ზემოთ მითითებული უნარებისა, **სიმონ ჩხაიძეს** გააჩნია სხვისი მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი, იგი მშვიდად და დამაჯერებლად პასუხობდა საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

<u>დასკვნა:</u> ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **სიმონ ჩხაიძე** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.5. პროფესიული თვისებები (მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში)</u>

კანდიდატი **სიმონ ჩხაიძე** გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით და გააჩნია გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ამასთან, 2021 წლის თებერვლიდან - 2024 წლის თებერვლამდე პერიოდში, კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, საკმაოდ მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 93,5%, უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი კი შეადგენს 90,7%-ს.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **სიმონ ჩხაიძე** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

სიმონ ჩხაიძის პროფესიული აქტივობის და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ იგი აქტიურად მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში, ეწეოდა და ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, გამოქვეყვებული აქვს პუბლიკაციები, კერძოდ:

- 2014-2019 წ. – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი – მოწვეული სპეციალისტი.
- 2020-2022 - თბილისის ღია უნივერსიტეტი - მოწვეული სპეციალისტი.
- 2022- დღემდე - საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი - მოწვეული სპეციალისტი.
-

<u>ნაშრომები/პუბლიკაციები:</u>

- „დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში - ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი" – „მართლმსაჯულება და კანონი" (N:4(35)12;
- „მოვალეთა და კრედიტორთა სიმრავლე ვალდებულებაში" – „მართლმსაჯულება და კანონი" (N:1(28)11;
- ზიანის ცნება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში (მოკლე ანალიზი) – „მართლმსაჯულება და კანონი" – N2 (41)14;
- „სხვა ობიექტური გარემოება", როგორც შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი -„მართლმსაჯულება და კანონი" N4 (56)17.
- „სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში" - სახელმძღვანელო - თანაავტორი;
- „ნოტარიუსის უფლებამოსილების ფარგლები სააღსრულებო ფურცლის გაცემისას"'
- "უსაფუძვლო გამდიდრების სამართალურთიერთობის სუბსიდიური ხასიათი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში" - „მართლმსაჯულება და კანონი" – N2 (78)23

<u>საკვალიფიკაციო გამოცდები/სასწავლო კურსები:</u>

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა

- კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით (2005 წლის ნოემბერი)

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **სიმონ ჩხაიძე** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

<u>2.7. პროფესიული აქტივობა</u>

კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების უნარი. აღსანიშნავია, რომ ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში.

- 14-18 თებერვალი,2023წ ევროკომისიისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) მიერ ჰააგის კონვენციების იმპლემენტაციის საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივად ორგანიზებული ონლაინ ტრენინგი;
- 28-30 ივნისი, 2023 წ. - კომპლექსი ლოპოტა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა.

27 იანვარი, 2020წ - ბავშვის უფლებატა კოდექსი, სამუშაო შეხვედრა.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **სიმონ ჩხაიძე** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **სიმონ ჩხაიძე <u>სრულად აკმაყოფილებს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **<u>90</u>** (ოთხმოცდა ათი) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი